

შპს ვ8შიფინგ უკრაინა ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა	6
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	8
6. სავაჭრო მოთხოვნები	8
7. გადახდილი ავანსები	9
8. მიღებული ავანსები	9
9. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან და რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება.....	9
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	10
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	10

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	1,793,921	584,772	4,738,391
სავაჭრო მოთხოვნები	6	5,780,640	9,714,438	8,148,499
გადახდილი ავანსები	7	23,982,621	-	251,017
სხვა მოკლევადიანი აქტივები		243	-	-
სულ აქტივები		31,557,425	10,299,210	13,137,907

ვალდებულებები და კაპიტალი**მოკლევადიანი ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები		320,954	7,066,139	1,501,694
მიღებული ავანსები	8	29,970,077	1,295,989	11,028,583
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		9,043	9,114	-
სულ ვალდებულებები		30,300,074	8,371,242	12,530,277

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება		1,257,351	1,927,968	607,630
სულ საკუთარი კაპიტალი		1,257,351	1,927,968	607,630

სულ ვალდებულებები და კაპიტალი		31,557,425	10,299,210	13,137,907
--------------------------------------	--	-------------------	-------------------	-------------------

დირექტორი



ანდრეი ლარჩენკოვ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	1,793,921	584,772	4,738,391
სავაჭრო მოთხოვნები	6	5,780,640	9,714,438	8,148,499
გადახდილი ავანსები	7	23,982,621	-	251,017
სხვა მოკლევადიანი აქტივები		243	-	-
სულ აქტივები		31,557,425	10,299,210	13,137,907
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		320,954	7,066,139	1,501,694
მიღებული ავანსები	8	29,970,077	1,295,989	11,028,583
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		9,043	9,114	-
სულ ვალდებულებები		30,300,074	8,371,242	12,530,277
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,257,351	1,927,968	607,630
სულ საკუთარი კაპიტალი		1,257,351	1,927,968	607,630
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		31,557,425	10,299,210	13,137,907

დირექტორი -----

ანდრეი ლარჩენკოვ

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	9	4,584,437	3,908,257
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	9	(320,461)	(420,499)
საერთო მოგება		4,263,976	3,487,758
ხელფასები და სხვა სარგებელი		(107,237)	(83,912)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(273,538)	(81,890)
მოგება პროცენტამდე და საკურსო სხვაობამდე		3,883,201	3,321,956
საპროცენტო შემოსავალი		2,928	2,948
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(542,275)	277,923
მოგება დაბეგვრამდე		3,343,854	3,602,827
მოგების გადასახადი		(296,761)	(342,373)
წმინდა მოგება		3,047,093	3,260,454

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	607,630	607,630
წმინდა მოგება	3,260,454	3,260,454
დივიდენდის გატანა	(1,940,116)	(1,940,116)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	1,927,968	1,927,968
წმინდა მოგება	3,047,093	3,047,093
დივიდენდის გატანა	(3,717,710)	(3,717,710)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,257,351	1,257,351

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვ8შიფინგ უკრაინა დაფუძნდა 2021 წლის 17 სექტემბერს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიდუბის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N6. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 402193176. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური და იურიდიული პირები:

ანდრეი ლარჩენკოვ (861212302109, N11414691/ყაზახეთი/) - 15%;

ოლენა პანფილოვა (19840924-12402, GB799506 /უკრაინა/) - 15%;

ვალერი ხარჩენკო (750919300527, N12543069/ყაზახეთი/) - 10%;

შპს იზი ინვესტმენტ (ს/კ 402251282) - 60%.

შპს ვ8შიფინგ უკრაინა საერთაშორისო „W8 Shipping“-ის ავტორიზებული საშუამავლო კომპანიაა, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტომობილებისა და ავტომობილების ტრანსპორტირების სერვისის მყიდველების დაკავშირება შესაბამის მომწოდებლებთან. კომპანიას მართავს დირექტორი - ანდრეი ლარჩენკოვ (861212302109, N11414691, ყაზახეთი).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე

იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

4.2 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.3 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.4 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა

გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

4.5 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საკონსულტაციო, საბანკო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, უმეტესწილად აშშ დოლარში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2023	31-12-2022
აშშ დოლარში განთავსებული	1,793,871	584,772
ლარში განთავსებული	50	-
სულ	1,793,921	584,772

6. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან (ფიზიკური და იურიდიული პირებისგან), რომელთაც კომპანიამ უშუამდგომლა ავტომობილის/ტრანსპორტირების მომსახურების შეძენაში და რომელთაგანაც თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2023 წლის ბოლოს კომპანიას ჰყავდა 360-მდე დებიტორი, ხოლო 2022 წლის ბოლოს - 380-მდე დებიტორი.

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება ავტომობილებისა და ტრანსპორტირების სერვისის მომწოდებელი კომპანიებისთვის წინასწარ გადახდილი თანხებისგან. 2023 წლის ბოლოს კომპანიას 4 იურიდიულ პირზე ჰქონდა გადახდილი ავანსები (2022: 0).

8. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები შედგება კლიენტი კომპანიებისა და ფიზიკური პირების მიერ შეძენილი ავტომობილებისა და მომსახურებისთვის წინასწარ ჩარიცხული თანხებისგან. 2023 წლის ბოლოს კომპანიას ჰქონდა მიღებული ავანსი 350-მდე კლიენტისგან, ხოლო 2022 წლის ბოლოს 200-მდე კლიენტი კომპანიებისა და ფიზიკური პირებისგან.

9. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან და რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

კომპანია ოპერირებს როგორც აგენტი კლიენტსა და ავტომობილების/ტრანსპორტირების სერვისის მომწოდებლებს შორის ტრანზაქციებში. როგორც აგენტი, კომპანია შემოსავლად აღიარებს არა ავტომობილების/ტრანსპორტირების სერვისისთვის კლიენტისგან მიღებულ თანხას, არამედ საკომისიოს, რომელსაც გამოიმუშავებს მყიდველებისა და გამყიდველების ერთმანეთთან დაკავშირებაში. აღნიშნული საშუაშალო საქმიანობიდან კომპანიის მიერ 2023 წელს მიღებულმა საკომისიო შემოსავალმა შეადგინა 4,584,437 ლარი (2022 წელს: 3,908,257 ლარი).

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში ასახულია მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ისეთი ხარჯები, როგორიცაა ტერმინალში მომსახურების ხარჯები და საშუაშალო მომსახურებისთვის გადახდილი თანხები.

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

10.1 ტრანზაქციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან

2023-2022 წლებში კომპანია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს უწევდა საშუამავლო მომსახურებას, რის ფარგლებშიც 2023 წლის ბოლოს კომპანიას ჰქონდა მიღებული ავანსი 6,321,660 ლარის ოდენობით.

2023-2022 წლებში კომპანიას ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა საწარმო უწევდა მომსახურებას, რომლის ფარგლებშიც კომპანიამ გასწია 37,287 ლარის ხარჯი 2023 წელს, ხოლო 417,237 ლარის ხარჯი - 2022 წელს. აღნიშნული ხარჯები ასახულია რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში.

2023 წელს კომპანიას ასევე ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა საწარმო აწვდიდა ტრანსპორტირების სერვისს, რის ფარგლებშიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა სავაჭრო ვალდებულება 43,030 ლარის ოდენობით.

10.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 39,491 ლარი, ხოლო 2022 წელს - 20,975 ლარი.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, შესაბამისი ანგარიშგების გამოშვებამდე, გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელი მოვლენების შესახებ ინფორმაცია:

- კომპანიამ 2024 წელს მფლობელებზე გასცა 2,198,153 ლარის დივიდენდი.
- 2024 წელს მოხდა კომპანიის მფლობელების წილებში ცვლილება შემდეგნაირად:

მფლობელი	ცვლილებამდე წილი	ცვლილების შემდეგ წილი
ოლენა პანფილოვა	10%	15%
ვალერი ხარჩენკო	30%	10%
შპს იზი ინვესტმენტ	50%	60%
ანდრეი ლარჩენკოვ	10%	15%